ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 5 დეკემბრის №01-02/202 ბრძანების
დანართი №1
(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით: 11.10.2022, №01-02/237)

ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **(შემდეგში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“)** პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების **(შემდეგში „პროგრამა“)** შემუშავებისა და განხორციელების პროცედურებს.
2. პროფესიული **მომზადების პროგრამა** არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.
3. პროფესიული **გადამზადების პროგრამა** არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.
4. ბსუ-ს პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ბსუ–ს მისიას და სტრატეგიულ გეგმას და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების - მსმენელების, განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და სხვა პირების გამოკითხვის ანალიზს.
5. ბსუ-ს პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინაციას უწევს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი **(შემდეგში „ცენტრი“)** საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.

თავი II
ბსუ-ს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება

მუხლი 2. პროგრამის შემუშავება და დამტკიცება ბსუ-ში

1. პროგრამის შემუშავების ინიცირება ხდება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ და დასამტკიცებლად წარედგინება ბსუ-ს რექტორს.
2. პროგრამის შემუშავებისას ცენტრი უფლებამოსილია დაეყრდნოს პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ერთ-ერთ შემდეგ საფუძველს:
ა) პროფესიის სტანდარტს;
ბ) პროფესიულ-საგანმანათლებლო სტანდარტს;
გ) მოდულს/მოდულებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილ მოთხოვნებს;

ე) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორ ISCO-08-ს ან/და საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ (იურიდიული პირი აღნიშნულ კლასიფიკატორებში ახდენს იმ პროფესიის/პროფესიების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/პროგრამების შინაარსთან.)

3. პროგრამის შემუშავების საფუძველი ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საფუძვლების გარდა შესაძლებელია გახდეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამის შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას.

4. პროგრამის შინაარსი განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდეგში - მინისტრი) 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდეგში - წესი) დანართის შესაბამისად და უნდა ჩამოყალიბდეს წინამდებარე წესზე თანდართული სახით (წინამდებარე წესის **დანართი N1)** ***(ცვლილება -11.10.2022, №01-02/237)***

5. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას ბსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

6. პროგრამის საჭიროების დასაბუთება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებებს:

ა) არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით. არგუმენტაცია შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევა, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.);

ბ) უნივერსიტეტი აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი საქმიანობის ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში;

გ) პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას ან ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან სოციალურ ინტეგრაციას, რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან;

დ) სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს არგუმენტებად ახალი პროგრამის შემუშავებისათვის.

7. პროგრამის შემუშავების ინიცირების შემთხვევაში ცენტრის მიერ წარმოდგენილი მასალები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დასაქმების ბაზრის კვლევას (თუკი პროგრამის შემუშავება ინიცირებულია ,,კომპანიის“ მიერ, აუცილებელი არ არის ბაზრის კვლევის ჩატარება), ბოლო ხუთი წლის კურსდამთავრებულთა (არსებობის შემთხვევაში) დასაქმების მაჩვენებელს; მონაცემებს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსების შესახებ. ***(ცვლილება -11.10.2022, №01-02/237)***

8. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია განიხილოს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები და მიიღოს გადაწყვეტილება თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, მოისმინოს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისაგან, მოითხოვოს საცდელი ლექციის/პრაქტიკული მუშაობის ან სხვა აქტივობის ჩატარება, შეამოწმოს სასწავლო მასალები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა), ასევე მისცეს რეკომენდაციები პროგრამის სრულყოფისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოყვანისათვის.

9. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის დადებითი რეკომენდაციის/დასკვნის საფუძველზე, პროგრამის საბოლოო რედაქცია (შედგენილი წინამდებარე წესის დანართის შესაბამისად) ცენტრის დირექტორის სამსახურებრივ ბარათთან ერთად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირებით, წარედგინება ბსუ-ს რექტორს. ***(ცვლილება - 11.10.2022, №01-02/237)***

10. პროგრამის საბოლოო რედაქცია მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით და ცენტრი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად შემდგომი აქტივობების განხორციელებას. *(ცვლილება -11.10.2022, №01-02/237)*

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად ბსუ-ს განაცხადის წარდგენა *(ცვლილება -11.10.2022, №01-02/237)*

1. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად ცენტის უფლებამოსილი დასაქმებული პირი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარადგენს ბსუ-ს ელექტრონულ განაცხადს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად (პროგრამის ელექტრონულ ფორმაზე რექტორის მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ორგანიზებას უზრუნველყოფს ცენტრი).

2. ელექტრონული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას (მონაცემებს):

ა) იურიდიული პირის სახელწოდებასა და სამართლებრივ ფორმას;

ბ) იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდს;

გ) იურიდიული პირის მისამართსა (იურიდიული და ფაქტობრივი) და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონი და ელ. ფოსტის მისამართი);

დ) იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს, რომელიც განისაზღვრება ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის შესაბამისად;

ე) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებას **(ქართულ და ინგლისურ ენებზე)** და სახეს (პროფესიული მომზადების პროგრამა/პროფესიული გადამზადების პროგრამა);

ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ ფორმას, რომელზეც შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა;

ზ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილს;

თ) მსმენელთა რაოდენობას (მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთებით);

ი) ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის (განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თანამშრომლობასთან დაკავშირებით არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით გაფორმებული ხელშეკრულება/შეთანხმება) და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ;

კ) ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსის შესახებ;

ლ) ინფორმაციას მსმენელის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ დასკვნას შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;

მ) დასაბუთებას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ;

ნ) ინფორმაციას მსმენელის შერჩევისა და პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურის შესახებ;

ო) ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ;

პ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ მეწარმე სუბიექტთან ან სახელმწიფო ორგანოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ, მათ შორის, რესურსების გამოყენების შესახებ, არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად უნივერსიტეტი ფლობს შესაბამის რესურსს;

ჟ) შესაბამისი სახელმწიფო დარგობრივი მარეგულირებელი უწყების/ორგანოს პოზიციას პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია გარკვეული რეგულაციები დარგობრივი უწყების მიერ;
რ) ელექტრონული განაცხადის განხილვისათვის, კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ს) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებულ სწავლის სფეროს ვიწრო სფეროს კოდს.

მუხლი 4. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება

1. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების **სტანდარტი** (შემდგომში – სტანდარტი) არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს იურიდიული პირი ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისას და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის გასაცემად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სტანდარტები ეხება:
ა) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას;
ბ) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს;
გ) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ადმინისტრირებას.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხს განიხილავს საბჭო (წევრები ინიშნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით). საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა ხორციელდება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) შექმნილი საბჭოს აპარატის მეშვეობით.
4. ბსუ-ს მიერ წარდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში კი განხორციელებული ვიზიტის შედეგების გათვალისწინებით, საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადებას, რომელიც ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხელმისაწვდომია, როგორც ბსუ-სთვის, ასევე საბჭოსთვის.
5. თუ წარდგენილი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა აკმაყოფილებს ამ მუხლით დადგენილ სტანდარტებს, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას განხორციელების უფლების მინიჭებისა და მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.
6. იურიდიულ პირს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება ენიჭება 3 წლის ვადით.
7. ბსუ უფლებამოსილია, დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც ავტორიზაციის შედეგად აქვს მოპოვებული. ასეთ შემთხვევაში ბსუ ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარადგენს ელექტრონულ განაცხადს, რომელიც ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ – „გ“, „ე“ – „თ“, „პ“ – „ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (პროგრამის სახელწოდება, მოდულის/მოდულების სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი, სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი), რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა. *(დამატება -11.10.2022, №01-02/237)*

თავი III.
ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება

მუხლი 5. პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.
2. კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ ბსუ-ს უფლება აქვს ამ პროგრამაზე გამოაცხადოს რეგისტრაცია ღია ან დახურული წესით.
3. ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
4. დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბსუ-ს აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება. დახურული რეგისტრაციის წესით აპლიკანტთა შერჩევის დროს ბსუ ვალდებულია ელექტრონულ სისტემაში ატვირთოს ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი.
5. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით ელექტრონულ სისტემაში** ბსუ-ს მიერ მიეთითება:

ა) იურიდიული პირის სახელწოდება/ სამართლებრივი ფორმა/საიდენტიფიკაციო კოდი;
ბ) იურიდიული პირის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;
გ) იურიდიული პირის საკონტაქტო ინფორმაცია (ელ-ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი);
დ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება;
ე) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახე (მომზადება/გადამზადება);
ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა;
ზ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (ასაკი, განათლება და სხვ.);
თ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოკლე აღწერა;
ი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილი;
კ) ადგილების ზღვრული რაოდენობა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე;
ლ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე (მე-2/მე-3/მე-4/მე-5);
მ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის ფორმა;
ნ) აპლიკანტთა რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების თარიღები (რეგისტრაციის დაწყების/დასრულების თარიღი წინ უნდა უსწრებდეს სწავლის დაწყების თარიღს);
ო) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
პ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;
ჟ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის საფასური;
რ) ინფორმაცია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაფინანსების შესახებ;
ს) მართვის სისტემის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის ,,ა“-,,მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ავტომატურად გენერირდება ელექტრონულ სისტემაში ბსუ-ს მიერ პროფესიული

მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადებისას. ამ მუხლის მე-5 პუნქტის ,,ნ"-,,ს" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში შეყვანას უზრუნველყოფს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (ხარისხის მართვის მენეჯერი).
7. ბსუ უფლებამოსილია შეცვალოს ელექტრონულ სისტემაში მის მიერ ასახული ინფორმაცია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე (ცვლილების შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

მუხლი 6. აპლიკანტთა რეგისტრაცია
1. ბსუ-ს მიერ რეგისტრაციის **ღია წესით გამოცხადების** შემთხვევაში ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, ხოლო დახურული წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პირთათვის.
2. აპლიკანტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციისათვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტთა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს ბსუ ელექტრონული სისტემის გამოყენებით.
3. აპლიკანტს ან ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის დროს ელექტრონულ სისტემაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:
ა) აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;
ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
გ) ფაქტობრივი მისამართი/რეგისტრაციის მისამართი;
დ) ინფორმაცია აპლიკანტის განათლების შესახებ;
ე) მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, დევნილის ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ვ) ინფორმაცია ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ.
4. აპლიკანტის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება მის ელექტრონულ ფოსტაზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით.
5. ელექტრონულ სისტემაში ავტორიზაციის გავლის შემდეგ აპლიკანტი ირჩევს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას/პროგრამებს.
6. აპლიკანტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაცია.

მუხლი 7. აპლიკანტთა შერჩევა *(ცვლილება - 11.10.2022, №01-02/237)*
1. პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის წესი ეფუძნება სამართლიანობის, თანასწორობის და გამჭვირვალობის პრინციპებს.
2. პროგრამაზე **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები** შეიძლება იყოს:
ა) განათლება (აპლიკანტის წინმსწრები განათლება) - უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი განსაზღვრავს გასაუბრების და გამოცდის ეტაპზე გამსვლელ აპლიკანტთა ვინაობას. აპლიკანტები რეგისტრაციის დასრულებიდან 2 დღის ვადაში ელ.ფოსტაზე: vocational@bsu.edu.ge აგზავნის დოკუმენტის ელექტრონულ ვერსიას. კომისიის წევრებმა უნდა იხელმძღვანელონ დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენის სარეკომენდაციო ფორმით (წინამდებარე წესის **დანართი N2** - აპლიკანტების დოკუმეტაციის შესაბამისობა

დაშვების წინაპირობასთან პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის);

ბ) **სამუშაო გამოცილება - სამუშაო გამოცდილების** დამადასტურებელი დოკუმენტი განსაზღვრავს გასაუბრების და გამოცდის ეტაპზე გამსვლელ აპლიკანტთა ვინაობას. აპლიკანტები რეგისტრაციის დასრულებიდან 2 დღის ვადაში ელ.ფოსტაზე: vocational@bsu.edu.ge აგზავნის დოკუმენტის ელექტრონულ ვერსიას. კომისიის წევრებმა უნდა იხელმძღვანელონ დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენის სარეკომენდაციო ფორმით (წინამდებარე წესის **დანართი N2** - აპლიკანტების დოკუმენტაციის შესაბამისობა დაშვების წინაპირობასთან პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის);

გ) ასაკი (მინიმალური ასაკობრივი ზღვარი) - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი განსაზღვრავს გასაუბრების და გამოცდის ეტაპზე გამსვლელ აპლიკანტთა ვინაობას. აპლიკანტები რეგისტრაციის დასრულებიდან 2 დღის ვადაში ელ.ფოსტაზე: vocational@bsu.edu.ge აგზავნის დოკუმენტის ელექტრონულ ვერსიას. კომისიის წევრებმა უნდა იხელმძღვანელონ დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენის სარეკომენდაციო ფორმით (წინამდებარე წესის **დანართი N2** - აპლიკანტების დოკუმეტაციის შესაბამისობა დაშვების წინაპირობასთან პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის);

3. აპლიკანტთა შერჩევის ეტაპებზე გამოიყენება შეფასების შემდეგი მეთოდები:

ა) მოტივაციური გასაუბრებაზე - გასაუბრება შედგება 4 ბლოკისგან და თითოეული ბლოკი ფასდება 0-25 ქულის ოდენობით, გასაუბრების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51 ქულას (მაქსიმალური 100 ქულა); თითოეული აპლიკანტისთვის გასაუბრების რეკომენდირებული ხანგრძლივობა შეადგენს არაუმეტეს 15 წუთს; კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ აპლიკანტებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. კომისიის წევრებმა აპლიკანტების შეფასებისას უნდა იხელმძღვანელონ გასაუბრების სარეკომენდაციო შეფასების კრიტერიუმებით (წინამდებარე წესის **დანართი N3** - აპლიკანტების შეფასების (მოტივაციური გასაუბრების) კრიტერიუმები პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის (კომისიის წევრისათვის)), აპლიკანტის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება გამოითვლება საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის პრინციპით: ჯამდება კონკრეტული აპლიკანტის გამსაუბრებელი კომისიის მიერ დაწერილი ქულები და იყოფა კომისიის წევრების რაოდენობაზე (წინამდებარე წესის **დანართი N4** - მოტივაციური გასაუბრების და გამოცდის (ტესტირების) შემაჯამებელი უწყისი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის)).

ბ) **გამოცდაზე/ტესტირებაზ**ე - ტესტი შედგება ღია ან/და დახურული კითხვებისგან და თითოეული კითხვის წონა დამოკიდებულია მის შინაარსზე. ტესტირების შედეგები განსაზღვრავს გასაუბრების ეტაპზე გამსვლელ აპლიკანტთა ვინაობას. გასაუბრების ეტაპზე დაიშვება აპლიკანტი რომელიც წარმატებით გადალახავს ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, რაც შეადგენს ტესტის საერთო ქულათა რაოდენობის 11 ქულას (მაქსიმალური 20 ქულა). კომისიის წევრ(ებ)მა აპლიკანტების შეფასება უნდა შეიტანოს შესაბამის უწყისში **(წინამდებარე წესის დანართი N5 - გამოცდის (ტესტირების) უწყისი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის).**

4. ტესტირება ტარდება ცენტრის მიერ, ხოლო გასაუბრება ტარდება კომისიის მიერ და რომლის მუშაობის წესი განისაზღვრება წინამდებარე წესით.

5. აპლიკანტთა შერჩევას ახორციელებს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი შესარჩევი კომისია (შემდგომში -,,კომისია“), რომლის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს აპლიკანტი ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, ინტერესთა კონფლიქტში მყოფი სხვა პირი.

6. კომისიის მუშაობა წარიმართება პროგრამის განხორციელების მისამართზე ან/და დისტანციურად (Covid-19 პანდემიით გამოწვეული პირობების გათვალისწინებით ან/და ცენტრის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით აპლიკანტის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ბსუ კომისიას გამოუყოფს ონლაინ პლატფორმა “Zoom”-ის ლიცენზირებულ ანგარიშს გასაუბრების დისტანციურად წარმართვისთვის. კომისია შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით უზრუნველყოფს ონლაინ შეხვედრების ორგანიზებას და გასაუბრებაში მონაწილეობისთვის ელექტრონულ მონაცემებს აწვდის აპლიკანტებს).

7. ბსუ-ს ცენტრი უზრუნველყოფს შერჩევის თარიღის დადგომამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე აპლიკანტის ინფორმირებას, შერჩევის თარიღისა და პროცედურის შესახებ (წინამდებარე წესის **დანართი N6** - აპლიკანტების შეფასების (გასაუბრების) განრიგი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამისათვის).
8. აპლიკანტები წინასწარ განსაზღვრულ დროს უნდა გამოცხადნენ გასაუბრებაზე. გასაუბრების ონლაინ ფორმატში წარმართვის შემთხვევაში, აპლიკანტებმა უნდა უზრუნველყონ ვიდეოთვალისა და მიკროფონის უწყვეტი ჩართულობა გასაუბრების მიმდინარეობის პროცესში.
9. კომისიის თავმჯდომარე აპლიკანტებს აცნობს გასაუბრების წარმართვის ზოგად პროცესს, წესებს და თითოეული აპლიკანტისთვის გამოყოფილი დროის ოდენობას.
10. აპლიკანტებისთვის მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ იწყება გასაუბრების პროცესი და ყველა აპლიკანტი გადადის მოსაცდელ სივრცეში.
11. გასაუბრების ონლაინ ფორმატში წარმართვისას კომისიის წევრი უზრუნველყოფს თითოეული აპლიკანტის კომისიის წინაშე ინდივიდუალურად წარდგენას შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით.
12. კომისიის თავმჯდომარე ახდენს აპლიკანტის იდენტიფიცირებას შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტ(ებ)ის საშუალებით.
13. გასაუბრების დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე აპლიკანტს აძლევს მითითებას დატოვოს გასაუბრების შესაბამისი სივრცე.
14. გასაუბრების პროცესის სხვა ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობით ან თანამედროვე ელექტრონული პროგრამით ჩაწერა დაუშვებელია.
15. ამ მუხლით განსაზღვრული შერჩევის პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას და აღნიშნულის შესახებ სამსახურებრივ ბარათს წარუდგენს ბსუ-ს რექტორს.

მუხლი 8. პროგრამის მსმენელის სტატუსის მოპოვება და შეწყვეტა
1. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ვალდებულია ბსუ-ს მიერ დადგენილ ვადაში ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში წარადგინოს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისიწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი უზრუნველყოფს ჩარიცხვის უფლების მქონე პირთან ხელშეკრულების გაფორმებას და ცენტრის წარდგინებით გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ (მსმენელის სტატუსის მინიჭება).
3. ინფორმაცია მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ ელექტრონულ სისტემაში აისახება შესაბამის პროფესიულ მომზადების/პროფესიულ გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე.
4. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, ბსუ უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში. ბსუ ვალდებულია ამ კატეგორიის პირთათვის მსმენელის სტატუტის მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება და ელექტრონულ სისტემაში ასახვა უზრუნველყოს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
5. პროგრამის მსმენელის სტატუსის შეწყვეტა (მსმენელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (3 სამუშაო დღის ვადაში) ცენტრის მიერ აისახება ელექტრონულ სისტემაში. *(ცვლილება - 11.10.2022, №01-02/237)*

მუხლი 9. სასწავლო პროცესი

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების სასწავლო პროცესის განრიგი **(აკადემიური კალენდარი)** განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სადაც მიეთითება მეცადინეობების დაწყების/დასრულების და პროგრამის დასრულების ვადები. *(ცვლილება - 11.10.2022, №01-02/237)*

2. პროგრამით გათვალიწინებული მეცადინეობები (პროგრამებით გათვალისწინებული კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვის შესაბამისად) ტარდება ამ პროგრამის საფუძველზე შედგენილი **სასწავლო ცხრილების** მიხედვით, რომელსაც ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის წარდგინებით ამტკიცებს ცენტრის დირექტორი (დამოწმდება ცენტრის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით).

3. დამტკიცებული ცხრილი პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე განთავსდება ცენტრის საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.

მუხლი 10. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმი

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას.

2. უნივერსიტეტი ქმნის ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობებს, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელისათვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია.

3. ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნით უნივერსიტეტი საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით უზრუნველყოფს სსსმ მსმენელთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

4. სსსმ მსმენელთა სასწავლო პროცესში სრულყოფილი ინტეგრირება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

5. სსსმ მსმენელისათვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სსსმ მსმენელისათვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სსსმ მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით.

7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა <u>იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის</u> განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად და წარედგინება ცენტრის დირექტორს (დამოწმდება ცენტრის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით).

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების და სხვა რესურსის საჭიროებების შესახებ **წერილობით ინფორმაციას ცენტრს წარუდგენს** ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც უნივერსიტეტში ივსება (გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა.შ.) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს.
10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს მსმენელისათვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული.

მუხლი 11. მსმენელის მიღწევების შეფასება და შეფასების გასაჩივრება

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შესაფასებელი პირის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, პროგრამით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
2. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მხოლოდ ერთხელ.
3. პროგრამებში გამოიყენება შემდეგი ორის სახის შეფასება:

ა) **განმავითარებელი შეფასება** - პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების განმახორციელებელი პირის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია განმავითარებელი შეფასების პრინციპის შესახებ წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია მსმენელებს;

ბ) **განმსაზღვრელი შეფასება** - ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: 1. სწავლის შედეგი დადასტურდა; ან 2. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების დასრულებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში ცენტრის დირექტორი, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. მსმენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს ცენტრს და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სხვა შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე მსმენელის გამოუცხადებლობა ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.
5. შეფასების მეთოდების ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებში.
6. ინფორმაცია შეფასების თაობაზე მსმენელს მიეწოდება მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში.
7. მსმენელი უფლებამოსილია მიღებული შეფასება გაასაჩივროს (აპელაცია) შედეგის გაცნობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში წარდგენილი წერილობითი განცხადებით. ცენტრის დირექტორი არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/განუხილველობის თაობაზე (სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: ცენტრის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პრაქტიკის ინსტრუქტორი და მომზადების/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი. *(ცვლილება - 11.10.2022, №01-02/237)*

8. მსმენელის საჩივრის საფუძველზე კომისია 2 სამუშაო დღეში განიხილავს მსმენელის შეფასების საკითხს და შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღეში ეცნობება მსმენელს. განმეორებითი შეფასებისას პროგრამის მომზადების/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შეცვალოს სწავლის შედეგის დადასტურების თემატიკა/ტესტი/საკითხები. *(ცვლილება - 11.10.2022, №01-02/237)*

მუხლი 12. სერტიფიკატის გაცემა *(ცვლილება - 11.10.2022, №01-02/237)*

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების საფუძველია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის მიერ მსმენელის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება და დადასტურება. *(ცვლილება - 11.10.2022, №01-02/237)*

2. **სწავლის შედეგი** არის განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ.

3. საკვალიფიკაციო კომისია შეისწავლის მსმენელის პირად საქმეს, მის შეფასებებს, უფლებამოსილია პროგრამის კოორდინატორის ან მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირისაგან მოითხოვოს დამატებითი დახასიათება, რეკომენდაცია ან დანიშნოს გასაუბრება მსმენელთან. *(ცვლილება - 11.10.2022, №01-02/237)*

4.საკვალიფიკაციო კომისია მსმენელთა პირადი საქმეების მასალებისა და შეფასებების შესწავლის შემდეგ საოქმო გადაწყვეტილებით განსაზღვრავს იმ მსმენელებს, რომლებმაც სრულად შეასრულებს პროგრამის მოთხოვნები და უნდა გაიცეს სერტიფიკატები. *(ცვლილება - 11.10.2022, №01-02/237)*

5.საკვალიფიკაციო კომისიის ოქმისა და სერტიფიკატის გაცემის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე მზადდება და გაიცემა სერტიფიკატი.

6.პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შედეგად გასაცემი სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართის ნიმუში მზადდება საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი წესით.

მუხლი 13. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ვადაში ცვლილებების შეტანა *(ცვლილება - 11.10.2022, №01-02/237)*

1. ბსუ ვალდებულია, ცენტრს აცნობოს:

ა) პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული მეწარმე სუბიექტის ან სახელმწიფო ორგანოს ცვლილების ან დამატების შემთხვევაში და წარადგინოს ახალ პარტნიორ იურიდიულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ;

ბ) პროგრამის განმახორციელებელი პირის/პირების ცვლილების შესახებ და წარადგინოს მათი განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი და მათთან გაფორმებული ხელშეკრულება;

გ) პროგრამის სახელწოდების, მოცულობის, განხორციელების ადგილის ან სწავლის შედეგის/შედეგების ცვლილების შესახებ და წარადგინოს განახლებული პროგრამა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების/ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ბსუ ვალდებულია, ცენტრს აცნობოს ცვლილების შესახებ მსმენელთა ახალი ნაკადის მიღების გამოცხადებამდე 30 სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 14. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები *(დამატება - 11.10.2022, №01-02/237)*

1. ბსუ უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან იმ კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც მომზადებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლა. ბსუ უფლებამოსილი არ არის აღნიშნულ პროგრამაზე მიიღოს ახალი მსმენელები.
2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში, პროგრამაზე შემდეგი მიღების გამოცხადებამდე ბსუ ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა. ბსუ უფლებამოსილია მსმენელებს სწავლა დაასრულებინოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ისინი ჩაირიცხნენ, ხოლო ახალი მსმენელები მიიღოს შეცვლილ პროგრამაზე.
3. პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ბსუ უფლებამოსილია უკვე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლება არსებული პროგრამით.
4. ამ მუხლით გათვალისწინებული ცვლილების/ცვლილებების შემთხვევაში, ბსუ ვალდებულია ცენტრს აცნობოს ცვლილების შესახებ, მსმენელთა ახალი ნაკადის მიღების გამოცხადებამდე 30 სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 15. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობების გაზრდა *(დამატება - 11.10.2022, №01-02/237)*

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საფუძველია ბსუ-ს მიერ ცენტრში წარდგენილი მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ელექტრონულ განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობა.
2. ბსუ ელექტრონულ განაცხადთან ერთად წარადგენს მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც განისაზღვრება სამინისტროს მიერ.
3. პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობების გაზრდა ხდება პროგრამის განხორციელების დარჩენილი ვადით.

ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესის

დანართი N1

(დამატება - 11.10.2022, №01-02/237)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება:
პროგრამის სახე: ☐ პროფესიული მომზადება ☐ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☐3 ☐4 ☐5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური -------- მაქსიმალური ---------
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:
პროგრამის მიზნები:
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)
პროგრამის შემუშავების საფუძველი:
პროგრამის მოკლე აღწერა:

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(შენიშვნა: ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა ----------	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესის

დანართი N2

(დამატება - 11.10.2022, №01-02/237)

აპლიკანტების დოკუმენტაციის შესაბამისობა დაშვების წინაპირობასთან პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის ,,----------"

№	აპლიკანტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	საკონტაქტო ინფორმაცია	დაშვების წინაპირობის ,,განათლება" და/ან ,,სამუშაო გამოცდილება" და/ან ,,ასაკი" შესაბამისობაშია/ არ არის შესაბამისობაში	შენიშვნა
1					
2					
3					
4					
5					

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრები:

რიცხვი/თვე/წელი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესის

დანართი N3

(დამატება - 11.10.2022, №01-02/237)

აპლიკანტის შეფასების (მოტივაციური გასაუბრების) კრიტერიუმები
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის
„----------“
(კომისიის წევრისათვის)

№	**აპლიკანტის სახელი და გვარი**	**პირადი ნომერი**	**შეფასების კრიტერიუმები**				**ჯამი**
			მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი) **(მაქსიმალური ქულა - 25)**	ხედვა პროგრამის ფარგლებში პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით **(მაქსიმალური ქულა - 25)**	ლოგიკური აზროვნების უნარი **(მაქსიმალური ქულა - 25)**	კომუნიკაციის უნარი **(მაქსიმალური ქულა - 25)**	
1							
2							
3							
4							
5							

გასაუბრების კომისიის წევრი:

რიცხვი, თვე, წელი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების
და განხორციელების წესის

დანართი N4
(დამატება - 11.10.2022, №01-02/237)

მოტივაციური გასაუბრების და გამოცდის (ტესტირების) შემაჯამებელი უწყისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამისათვის „----------“

№	აპლიკანტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	გასაუბრება	გამოცდა	ჯამი
1					
2					
3					
4					
5					

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის წევრები:

რიცხვი/თვე/წელი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესის

დანართი N5

(დამატება - 11.10.2022, №01-02/237)

გამოცდის (ტესტირების) უწყისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის „----------“

№	აპლიკანტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	გამოცდის (ტესტირების) შედეგი/ქულა
1			
2			
3			
4			
5			

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის წევრები:

რიცხვი/თვე/წელი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების
და განხორციელების წესის

დანართი N6
(დამატება - 11.10.2022, №01-02/237)

აპლიკანტების შეფასების (გასაუბრების) განრიგი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამისათვის ,,----------“

№	აპლიკანტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	გასაუბრების დრო	საკონტაქტო ინფორმაცია
1				
2				
3				
4				
5				

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის წევრები:

რიცხვი/თვე/წელი